JEL Classification: K10, H70, H83. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.012

IMPACT OF COVID 19 ON PUBLIC SERVICE SUPPLY (IN THE CONTEXT OF LOCAL SELF-GOVERNMENT)

NANA RUSADZE
Doctor of Public Administration, Associate Professor
Akaki Tsereteli State University, Georgia
nana.rusadze@atsu.edu.ge

EKATERINA ZAKARADZE
Doctor of Public Administration, Invited Lecturer
Grigol Robakidze University, Georgia
ekaterine.zakaradze02@gruni.edu.ge

AZA IPSHIRADZE
Doctor of Economics, Professor
Kutaisi University, Georgia
aza.iphshiradze@unik.edu.ge

Abstract. The last two years in the history of mankind can be characterized as the beginning of a nation of difficulties caused by the spread of the coronavirus pandemic. The pandemic has broken all borders (political, legal, state) and overcoming the transboundary global crisis has necessitated the participation of all levels of government and the private sector.

The pandemic, along with human health, attacks the socio-economic sphere and poses obvious threats of economic depression, rising unemployment and poverty, limited social contacts, and many other negative events. This threat affects the state and municipal management and, consequently, the public services provided by them. Unfortunately, unlike trade and education, these types of services are largely impossible to digitize.

In the current situation, the attention of citizens and business representatives is drawn to the actions of the state, as its activities and management skills have acquired much more function. Meeting the needs of citizens in a pandemic requires the use of approaches based on new technologies, new forms of interaction and innovative methods of work.

The economic sustainability of public administration occupies an important place in public policy as a determinant of public sector modernization, support, optimization of functioning, and improvement of public services. This acquired a special load during the crisis caused by the coronapandemic.

The ongoing coronavirus pandemic dictates that it is necessary to develop new approaches to state intervention and public service delivery systems in all areas of public life in times of crisis in order to respond optimally to the needs of citizens.

KEYWORDS: CORONA VIRUS, PUBLIC SERVICES, OWN AUTHORITY, CRISIS, MUNICIPALITY.

For citation: Rusadze, N., Zakaradze, E., & Ipshiradze, A. (2020). Impact of Covid 19 on Public Service Supply (In the Context of Local Self-Government). *Globalization and Business.* 12, 88-93. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.012

JEL Classification: K10, H70, H83. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.012

COVID 19–ის გავლენა საჯარო მომსახურებების მიწოდებაზე (თვითმმართველობის კონტექსტი)

ნანა რუსაძე
საჯარო მმართველობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
nana.rusadze@atsu.edu.ge

ეკატერინა ზაქარაძე
საჯარო მმართველობის დოქტორი, მიწვეული ლექტორი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო
ekaterine.zakaradze02@gruni.edu.ge

აზა იფშირაძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო
aza.iphshiradze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: კორონა ვირუსი, საჯარო მომსახურება, საკუთარი უფლებამოსილება, კრიზისი, მუნიციპალიტეტი.

ციტირებისთვის: რუსაძე, ნ., ზაქარაძე, ე., იფშირაძე, ა. (2020). COVID 19–ის გავლენა საჯარო მომსახურებების მიწოდებაზე (თვითმმართველობის კონტექსტი). *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 88-93. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.012

შესავალი

ბოლო ორი წელი კაცობრიობის ისტორიისათვის შეიძლება დავახასიათოთ, როგორც კორონავირუსის პანდემიის გავრცელებით გამოწვეული სირთულეების ერის დასაწყისი. პანდემიამ დაარღვია ყველა საზღვარი (პოლიტიკური, იურიდიული, სახელმწიფო) და ტრანსსასაზღვრო გლობალური კრიზისის დასაძლევად აუცილებელი გახდა ყველა დონის სახელმწიფო ორგანოთა და კერძო სექტორის თანამონაწილეობა.

პანდემია, ადამიანთა ჯანმრთელობასთან ერთად, ძალუმად უტევს სოციალურ–ეკონომიკურ სფეროს და ეკონომიკური დეპრესიის, უმუშევრობის და სიღარიბის ზრდის, სოციალური კონტაქტების შეზღუდვის და სხვა მრავალი ნეგატიური მოვლენის აშკარა საფრთხეებს შეიცავს. აღნიშნული საფრთხე სახელმწიფო და მუნიციპალურ მენეჯმენტს და აქედან გამომდინარე, მათ მიერ განხორციელებულ საჯარო მომსახურებებსაც ეხება. სამწუხაროდ, ვაჭრობისა და განათლებისაგან განსხვავებით, ამ ტიპის მომსახურებების დიდწილად გაციფრულება შეუძლებელია.

არსებულ ვითარებაში მოქალაქეების და ბიზნესის წარმომადგენლების ყურადღება მიპყრობილია სახელმწიფოს ქმედებებისაკენ, რამდენადაც მისმა საქმიანობამ და მენეჯმენტის უნარმა გაცილებით მეტი ფუნქცია შეიძინა. მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, პანდემიის პირობებში საჭიროებს ისეთი მიდგომების გამოყენებას, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებს, ურთიერთქმედების ახალ ფორმებს და მუშაობის ინოვაციურ მეთოდებს ემყარება.

ძირითადი ნაწილი

სახელმწიფო მართვა, ფართო გაგებით არის მოქალაქეთათვის მომსახურებების გაწევა, რომელიც შეიძლება შესრულდეს საზოგადოებრივი ინტერესის ფარგლებში სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოების მიერ. ასეთი ტიპის მომსახურების გაწევა მოიცავს მოსახლეობის დიდ ნაწილს (საჯარო მომსახურების სპეციფიკა), ანუ „კლიენტთა“ დიდ რაოდენობას.

საქართველოში სახელმწიფო მართვის მნიშვნელობაზე სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად მიუთითებს დანახარჯების ძირითადი კატეგორიების მიხედვით მთლიანი სამამულო პროდუქტის (Papava & Silagadze, 2019) გამოყენებაში მისი მაღალი ხვედრითი წილი: 2015–2019 წლებში იგი საშულოდ 14%–ის დონეზე იყო (იხ.ცხრ. 1).

ცხრილი 1. მთლიანი სამამულო პროდუქტის გამოყენება დანახარჯების ძირითადი კატეგორიების მიხედვით (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი) (საქსტატი, ანგ., 2019)

მაჩენებელი	2015	2016	2017	2018	2019
სახელმწიფო მართვის ორგანოების ხვ. წილი GDP-ში, %	14,3	15,3	13,9	13,2	13,1
სულ GDP საბაზრო ფასებით (მლრდ.ლარი)	33,9	35,8	40,8	44,6	49,2

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოქალაქეთა საჯარო ხელისუფლებასთან ურთიერთობა მუნიციპალური ხელისუფლების გზით ხორციელდება. სამოქალაქო კონტროლი, ადგილებზე მეტი აქტიურობა და ჩართულობა განაპირობებს როგორც მოქალაქეთა ინტერესების ასახვას საბოლოო გადაწყვეტილებებში, ისე საბიუჯეტო ეფექტიანობას (Shergelashvili, 2017).

დეცენტრალიზაციის გამოწვევების და შედეგების პირდაპირი ეფექტი გამომდინარეობს სწორედ განაწილების ეფექტიანობის გაუმჯობესებისგან და შეიძლება მოიცავდეს განვითარებას საჯარო სერვისების თვალსაზრისით (OECD, 2019).

დეცენტრალიზაციის მოტივები განსხვავებულია სახელმწიფოთა მიხედვით, თუმცა მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებული მიზანია სერვისების მიწოდების ეფექტიანი მექანიზმი, რაც ეფუძნება „შვილობილი კომპანიის" პრინციპს:

სერვისები, რომელიც შეიძლება მიწოდებულ იქნას ხელისუფლების ქვედა დონეზე უნდა იყოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებაში, რათა გადანაწილდეს საჯარო მმართველობის ძალაუფლება პასუხისმგებლიანი და ეფექტიანი მმართველობის მისაღებად;

გაფართოვდეს საჯარო სერვისებზე და ეკონომიკურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობა;

წახალისებულ იქნას საზოგადოების მეტი მონაწილეობა მმართველობის პროცესში. (Böckenförde, 2011).

საქართველოში საჯარო მომსახურების მიწოდება მაღალი ხარისხით საბჭოთა პერიოდშიც არ გამოირჩეოდა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, რაც ძირითადად შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობეს:

ადგილობრივი თვითმმართველობების ადრე არსებული ფუნქციების ნაწილი უკვე ცენტრალიზებულია და შესაბამისად, მოსახლეობა რიგ საკითხებთან დაკავშირებით თვითმმართველობისათვის მიმართვის საჭიროებას ვერ ხედავს;

საზოგადოება ხშირ შემთხვევაში არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ თვითმმართველობას მისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში „არავინ არაფერს ეკითხება" და მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლია. (UNDP..., 2013)

COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის პირობებში სახელმწიფო მომსახურებების მიწოდების მოდერნიზაციისას სახელმწიფო მმართველობის ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ სამი მიმართულება:

ა) მოქალაქეებისა და საწარმოების მხარდაჭერა კრიზისულ პირობებში. ამ დროს იცვლება პრიორიტეტები და რთულდება ცხოვრება. სახელმწიფო ორგანოებმა უნდა მოახდინონ ფოკუსირება და განვითარების მიმდინარე პოლიტიკის კორექტირება ელექტრონული მომსახურებების მიმართულებით, რითაც შეიქმნება ელექტრონული მომსახურებების ოპერატიულად მიწოდების შესაძლებლობა.

ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის ოპტიმიზაცია. საჭიროა აქტიური თანამშრომლობა სახელმწიფო, რეგიონულ და მუნიციპალურ ორგანიზაციებთან, რაც საზოგადოების სტაბილურობის უზრუნველყოფის ერთგვარი გარანტია;

გ) მზადყოფნა გრძელვადიან პერიოდში საზოგადოებრივი ცხოვრების აღსადგენად. ამისათვის აუცილებელია გარკვეული კომპრომისების, შეღავათების და „არდადეგების" დაწესება (UN/DESA Policy, 2020).

არცთუ ხანგრძლივი პერიოდის მიუხედავად, შეიძლება იმ სირთულეების იდენტიფიცირება, რომლებიც საჯარო სამსახურში შემოგვთავაზა COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეული გლობალური პანდემიის გავრცელებამ. ესენია:

დისტანციურ რეჟიმში უცილობელი გადასვლა, რამაც გარკვეული სირთულეები (მათ შორის ტექნიკური) წარმოშვა. საჭირო შეიქმნა ელექტრონული სწავლებების ჩატარება ახალ პლატფორმებთან შეგუების მიზნით;

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის განხორციელების შეფერხება. ბუნებრივია, პროგრამა ვერ განხორციელდება უშუალო კომუნიკაციის გარეშე, რის გამოც იგი საგანგებო მდგომარეობის ვადის ფარგლებში შეჩერდა.

მუნიციპალიტეტებმა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების (კონფერენციები, ფორუმები, ფესტივალები და ა.შ.) ჩატარება ვერ მოახერხეს, რაც შეუძლებელი იქნებოდა დისტანციურ რეჟიმში;

საერთაშორისო უცხოური ვიზიტების (საქმიანი, საგანმანათლებლო, კულტურული) შეწყვეტა/გადადება გაურკვეველ დრომდე.

ამ ეტაპზე შეიძლება ვისაუბროთ იმ სიახლეებზეც, რომლებიც შემოგვთავაზა COVID-19-ით გამოწვეულმა პანდემიამ საჯარო სამსახურებში:

საჯარო დაწესებულებებში დისტანციურ რეჟიმში კონკურსის ეტაპების ჩატარება;

დისტანციურ რეჟიმში შეფასების განხორციელება. სიახლის გამო, ხშირ შემთხვევაში საჯარო სამსახურები კონსულტაციებს იღებდნენ საჯარო სამსახურის ბიუროსაგან;

საჯარო მოხელეთა სწავლების დისტანციურ რეჟიმში

განხორციელება. პროფესიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული საბაზისო პროგრამა 789 მოხელისთვის განხორციელდა. აღსანიშნავია, რომ „მოხელის მენეჯერული უნარების კურსი" მუნიციპალიტეტის ორგანოს 154 მოხელემ გაიარა; (საჯარო სამსახურის ბიურო, 2020);

საჯარო მოხელეთა კომუნიკაციის ხელშეწყობის მიზნით დამატებითი საკომუნიკაციო პლატფორმების შექმნა;

პარტნიორებთან, დაძმობილებულ და დამეგობრებულ ქალაქებთან თანამშრომლობის გაღრმავება დისტანციური წესით.

სხვადასხვა წყაროების და ქვეყნების გამოცდილების შესწავლამ დაადასტურა, რომ COVID-19 კრიზისის პირობებში ეროვნულ მთავრობებთან ერთად საქალაქო ადმინისტრაციებმაც გარკვეული როლი უნდა შეასრულონ COVID-19-ის გავრცელებით გამოწვეული დამანგრეველი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების სალიკვიდაციოდ ან პრევენციული ღონისძიებების წარმართვაში. ქალაქები, სხვა დასახლებულ პუნქტებთან შედარებით, COVID-19-ის საბრძოლველად უკეთ არიან აღჭურვილნი. თუმცა, სახელმწიფოთა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის მიუხედავად, ქალაქების რესურსი მაინც შეზღუდულია დამოუკიდებლად, ფედერალური ხელისუფლების გარეშე გაუმკლავდნენ პანდემიით გამოწვეულ კრიზისს (Chikhladze et al., 2021).

ამ მხრივ საინტერესოა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საქმიანობა. ქალაქის მერიის მიერ განხორციელდა რიგი შეღავათები ადგილობრივი მნიშვნელობის და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საზოგადოებრივ მომსახურებებზე:

ფიზიკური პირების განთავისუფლდნენ დასუფთავების მოსაკრებლისაგან 370 ათასი ლარის ოდენობით (მარტი-მაისი). ამავე პერიოდში გათავისუფლდნენ ის იურიდიული პირებიც, რომლებმაც თხოვნით მიმართეს მერიას (90 ათასი ლარი);

საქალაქო ტრანსპორტის გადამზიდავები განთავისუფლდნენ მარტის, აპრილისა და მაისის თვეების ნებართვების გაცემის ფასის გადახდის ვალდებულებისაგან (მარტი-სექტემბერი). საშეღავათო თანხამ ამ პერიოდში შეადგინა 475,2 ათასი ლარი. (Civil Service Bureau Activity Report, 2020);

ბიზნეს სუბიექტებს ქალაქის ისტორიულ ნაწილში მიეცათ უფლება საკუთარი ობიექტების წინ გამოტანითი სახით მოეხდინათ საკუთარი სერვისებისა და პროდუქციის რეალიზაცია;

ყოველდღიურ რეჟიმში საჯარო მოხელეები ახორციელებდნენ ქუთაისში მოქმედი სტრატეგიული ობიექტების ოპერატიულ ინფორმირებას, კონსულტირებას საგანგებო მდგომარეობის პერიოდში საქმიანობის, გადაადგილების და სხვა რეგულაციებზე, მათი შეუფერხებელი მუშაობის ხელშეწყობის მიზნით. სამუშაოები ძირითადად მიმდინარეობდა ელექტრონული კომუნიკაციით და ქოლ-ცენტრის საშუალებით, სადღეღამისო რეჟიმში;

„სოციალური ღონისძიებების პროგრამა" (ბენეფიციარებისათვის სააღდგომო ნობათების დარიგება) განხორციელდა საცხოვრებელ ადგილზე მიტანით;

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, კორექტივები შევიდა ბიუჯეტით გათვალისწინებულ სხვადასხვა პროგრამებში („მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა", „ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომის", „ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა", „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამა", „საქართველოს „SOS" ბავშვთა სოფელი", „უფასო მგზავრობის პროგრამა", „გადაუდებელი რეაგირების პროგრამა") ბენეფიციართათვის მათი მოცულობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების საჭიროებების იდენტიფიკაცია განხორციელდა სატელეფონო კონსულტაციის და შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში აღნიშნული ოჯახების შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე;

ბაგა-ბაღების აღსაზრდელებზე აპრილ-ივნისში გაიცა საკვების პაკეტები (სულ 33 600 პაკეტი). ამასთან, ააიპ „ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების" თანამშრომლები გადამზადდა ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების დაცვის მიზნით;

კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და არსებული ეპიდსიტუაციის მართვის მიზნით ფუნქციონირებდა ქოლ-ცენტრი (Economic Service of Kutaisi City Hall, 2021).

მუნიციპალიტეტებში COVID 19-ის ნეგატიური გავლენის სოციალური მიმართულების შესასწავლად მოვახდინეთ ქუთაისის მერიაში შემოსული კორესპოდენციების ანალიზი (იხ.ცხრ. 2).

როგორც ცხრილიდან ირკვევა, 2020 წელს (ე.წ. „პანდემიის წელს") მნიშვნელოვნად (15%-ით) შემცირდა შემოსული კორესპონდენციების რაოდენობა 2019 წელთან შედარებით. ლოგიკურად მივიჩნევთ 2020 წელს - COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვების და სამუშაო ადგილების მკვეთრი შემცირების პირობებში ერთჯერად მატერიალურ

ცხრილი 2. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული კორესპოდენციების დინამიკა 2018-2020 წლებში

წელი	სულ შემოსული კორესპოდენციების რაოდენობა	მათ შორის მოთხოვნა ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე	
		სულ	%-ად მთლიანთან
2018	30109	1759	5,84
2019	31868	1185	3,72
2020	27193	2040	7,50

ცხრილი შედგენილია ავტორთა მიერ, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მასალების მიხედვით

დახმარებაზე მოქალაქეთა მოთხოვნის მნიშვნელოვან ზრდას 1185 ერთეულიდან 2040 ერთეულამდე (ზრდა 72%-ით). ბოლო სამ წელიწადში ერთჯერად მატერიალურ დახმარებაზე მოქალაქეთა მოთხოვნის ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი შემოსულ კორესპონდენციებში სწორედ 2020 წელს იყო - 7,5%.

საჯარო მომსახურებების მიწოდებაზე COVID 19-ის გავლენის დასადგენად ჩავატარეთ მოქალაქეთა გამოკითხვა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში. როგორც წესი, ძირითადი საჯარო მომსახურებები გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებიდან, რომელიც დადგენილია „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით". Local (Self-Government Code, Article 16).

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ადგილებზე განხორციელებული კომპეტენციები იყოფა ორ ჯგუფად:

კომპეტენცია, რომელიც თავისი ბუნებით ადგილობრივია, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლება ახორციელებს (მაგ., წყალმომარაგება, ნაწილობრივ, ადგილობრივი გზებისა და კომუნიკაციების რეაბილიტაცია);

კომპეტენცია, რომლის შესაბამისი სერვისის მიწოდებასაც კერძო სექტორი ახორციელებს (ელექტრომომარაგება, ბუნებრივი აირის მიწოდება) და თვითმმართველობა მათ ვერ აკონტროლებს. საზოგადოებისათვის თვითმმართველობა (სახელმწიფო) მაინც უპირველესია და მხოლოდ ის უნდა იყოს ყველაფერზე პასუხისმგებელი (უხარისხო სერვისი, ტარიფის ზრდა და ა.შ.).

კვლევის ინსტრუმენტად წარმოდგენილ იყო კითხვარი, რომელიც შედგება 13 შეკითხვისგან (შეფასება განხორციელდა 5 ბალიანი სისტემით). ყველა კითხვა შეიცავდა COVID-19-ის პირობებში კონკრეტული საჯარო მომსახურების ცვლილების შესახებ რესპოდენტისაგან აზრის გაზიარების დამატებით მოთხოვნას. მოქალაქეთა გამოკითხვა ჩატარდა 2021 წლის აგვისტოს პირველ დეკადაში (გამოკითხულთა რაოდენობა 295 რესპოდენტი). გამოკითხვამ ასეთი შედეგები გამოავლინა (იხ. ცხრ. 3)

მუნიციპალიტეტის მიერ მიწოდებული და 13 სახეობის უფლებამოსილებაში გაერთიანებული საჯარო მომსახურებების საშუალო მაჩვენებელი გამოკითხვის მიხედვით არის 2,54. ვფიქრობთ, საუკეთესო შეფასების სამი სახეობა ლოგიკურად გამოვლინდა, რადგან:

- ქუთაისის თითქმის ყველა უბანს 24 საათიანი წყალმომარაგება აქვს;
- სკოლამდელი აღზრდის კუთხით ყველაზე ნაკლები პრობლემებია. პანდემიის პირობებში აღსაზრდელებს მიეწოდათ თვის ნორმით გათვალისწინებული კუთვნილი კვების ულუფები;
- ქუთაისში 2020 წლიდან შეიქმნა მუნიციპალური ტრანსპორტი.

გამოკითხულთა 2/5 მიიჩნევს, რომ COVID-19-ის პირობებში საჯარო მომსახურებების მიწოდების მდგომარეობა უცვლელია, 31,5%-ის აზრით გაუმჯობესდა, ხოლო 28,1% მიიჩნევს, რომ ეს მომსახურებები გაუარესებულია.

COVID-19-ის პირობებში ყველაზე გაუარესებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა ასევე გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება. გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ კოვიდპანდემიის პირობებში ყველაზე მეტად გაუმჯობესდა მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება.

დასკვნები

მიგვაჩნია, რომ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს რეგიონულ და გლობალური პარტნიორობას, მუნიციპალური

ცხრილი 3. ქუთაისის მუნიციპალიტეტში საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში მიწოდებული საჯარო მომსახურების გამოკითხვის შედეგები

№	საუკეთესო შეფასების სამი სახეობა	შეფასება	№	დაბალი შეფასების სამი სახეობა	შეფასება
I	წყალმომარაგების და წყალარინების უზრუნველყოფა, მელიორაცია;	3,1	I	სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;	2,3
II	საბავშვო ბაღები და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა	3,0	II	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა, ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;	2,4
III	მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;	2,9	III	გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;	2,4

ნახაზი 1. როგორ შეიცვალა COVID-19-ის პირობებში საქმიანობა?



ორგანოების პრაქტიკული გამოცდილების შესწავლას ინოვაციების გამოყენების და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით;

საჭიროა, გაგრძელდეს სწრაფი რეაგირების ორგანიზაცია კავშირის ყველა შესაძლო არხის გამოყენებით, რაც აუცილებელია რესურსების ოპერატიული გადანაწილებისათვის;

საჯარო მომსახურებების მიწოდების უწყვეტობის შენარჩუნება. ამისათვის შეიძლება შეიქმნას იმ მოხელეთათვის მუშაობის ახალი მოდელების და ვარიაციების შემუშავების საჭიროება, რომლებიც აღნიშნულ მომსახურებების უშუალო მიმწოდებლები არიან;

რეგიონის/მუნიციპალიტეტების დონეზე მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება. აუცილებელია არასტანდარტული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და დამუშავება გადაწყვეტილებებისათვის, გამოკითხვების ჩატარების ორგანიზება. ამით უკეთ მოხდება ბიზნესისა და მოქალაქეების მაქსიმალური მხარდაჭერის სამიზნეების და მოცულობების დადგენა;

მმართველობის მაღალი ცენტრალიზაციის პირობებში მუნიციპალური მართვა მხოლოდ ადმინისტრირების ფუნქციით შემოიფარგლება. პანდემიის შედეგები გვარწმუნებს რომ ეს არასაკმარისია და ფინანსური, საინფორმაციო და შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის აუცლებელია მისი აყვანა მენეჯმენტის დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Böckenförde, M. (2011). A Practical Guide to Constitution Building: Decentralized Forms of Government, 4; 18. 2011. URL:https://www.idea.int/sites/default/files/publications/chapters/practical-guide-to-constitution-building/a-practical-guide-to-constitution-building-chapter-5.pdf

Chikhladze, N., Chikhladze N., & Rusadze N. (2021). Challenges of Economic Activities of Cities in the Context of the Covid-19 Pandemic. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 15, (1) 110-116. http://science.org.ge/bnas/vol-15-1.html.

Civil Service Bureau Activity Report 2020. (in Georgian). URL:http://www.csb.gov.ge/media/3168/7447.pdf

COVID-19: Embracing digital government during the pandemic and beyond. United Nations Di-vision for Public Institutions and Digital Government. UN/DESA Policy Brief, 61. URL:https://www.un.org/development/desa/dpad/publication/un-desa-policy-brief-61-covid-19-embracing-digital-government-during-the-pandemic-and-beyond/

Local Self-Government Code, Article 16. (in Georgian). URL:https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=57

Materials of the Economic Development, Local Self-Government Property and Transport Management Service of Kutaisi Municipality. (in Georgian).

National Accounts of Georgia (2019). National statistics office of Georgia. URL:https://www.geostat.ge/media/37666/%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-2019.pdf

OECD (2019) Making Decentralization Work, a Handbook for Policy-Makers, pp-3;6. URL:https://www.oecd.org/regional/making-decentralisation-work-g2g9faa7-en.htm

Ordinance 269 of Kutaisi Municipality Council, May 27, 2020; Ordinance 289 of the Kutaisi Municipality Council, September 30, 2020. (in Georgian).

Papava, V., & Silagadze, A. (2019). On the Georgian Name of the Key Economic Term"Gross Domestic Product." *Journal Economics and Business*, 1, 180-182.

Shergelashvili T., (2017) Continuation of the territorial changes of the municipality, which started in 2014, is extremely important for the development of the country. (in Georgian). URL: URL:http://droa.ge/?p=4143

Sitizen's stratification with local public services in Georgia (2013). UNDP, SDS, ADC, 2013.